



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლიის არქეოლოგიური ძეგლები

ლიის არქეოლოგიური ძეგლები, მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი სოფ. ლიის (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი) სამხრ.-დას. ნაწილში, დიდა ქირსის ბორცვზე და მის ძირში, ე. წ. ჭოლორიას წყურგილესა და ოყაჭებე. გათხარეს 1964-65 (ხელმძღვ. რ. აბრამიშვილი) და 1967-70 (ხელმძღვ. ა. აფაქიძე, გ. გრიგოლია). დიდა ქირსა გორანამოსახლარია, რის ჩრდ.-დას. ფერდობზე გამოვლენილია გვიანდ. ბრინჯაოს, ადრინდ. რკინის, ადრინდ. ანტ., ელინისტური, რომაული და ადრინდ. შუა საუკუნეების კულტ. ფენები. ბორცვის ჩრდ.-დას. ფერდობზე გათხარეს რომაული ხანის (I-II სს.) 10-მდე ორმოსამარხი. მათში აღმოჩნდა კერამიკული ნაწარმი, რკინის იარაღ-საჭურველი, სამკაული, I-II სს. რომაული ვერცხლის მონეტები (ერთ-ერთი - იულიუს კეისრის გამოსახულებით) და სხვ. აქვე აღმოჩნდა ადრინდ. ფერდ. ხანის თიხის ნავისებრი სარკოფაგი. ადრინდ. და შუა ფერდ. ხანაში დიდა ქირსის ბორცვი ციხედ უქცევიათ, ქვის კედლით შემოუზღუდავთ და 2 საბრძოლო კოშკით გაუმაგრებიათ. ციხის შუა ნაწილში გათხარეს ადრინდ. შუა საუკუნეების მრგვალაფსიდიანი ტაძრის ნანგრევები, რ-საც კირხსნარით შელესილი აგურის იატაკი აქვს. როგორც ჩანს, ტაძარი ღვთისმშობლის სახელზე იყო აგებული (აქედან უნდა მომდინარეობდეს სახელწოდებაც „დიდა ქირსა“). ტაძრის გარშემო ქრისტ. წესით დაკრძალულთა ორმოსამარხები იყო. ჭოლორიას წყურგილებე ნაპოვნია გვიანდ. ბრინჯაოს ხანის ბრტყელი ცული. იქვე აღმოჩენილ II ს. ორმოსამარხში იყო ვერცხლის სამკაული, კესარიული მონეტა, მინის სასმისი და სხვ. ჭოლორიას წყურგილესა და ოყაჭებე დადასტურებულია მძღავრი მეტალ. კერები. ამ ადგილებში აღმოჩენილია ღუმლის ფრაგმენტები, საბერველის კერამ. მილები, რკინის წილები და ნახშირი. საბერველის მიღების უმრავლესობას ხელოსნის დამდა აზის.

ლიტ.: გ რ ი გ ო ლ ი ა გ., ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე მუშაობის წინასწარი შედეგები, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია,

1971, № 3.

Ճ. ՃՐՈՅՉՈՅՈՅ
